საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

2023 წელი



01.10.2024
www.geostat.ge

01.10.2024

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

(2023 წელი)

2023 წელს, წინა წელთან შედარებით, ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 12.6 პროცენტით გაიზარდა და 204.6 მილიარდი ლარი შეადგინა.

ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2023 წელს მისი მოცულობა 77.9 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 2022 წლის მაჩვენებელზე 8.5 პროცენტით მეტია:

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მოცულობა წლების მიხედვით



2023 წელს ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობის 66.8 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდიოდა, 15.3 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 17.9 პროცენტი კი - მცირე ბიზნესზე.

მცირედით განსხვავებული განაწილება იყო პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდიოდა პროდუქციის გამოშვების 46.1 პროცენტი, საშუალოზე - 24.6 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე - 29.3 პროცენტი.

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები საწარმოთა ზომების მიხედვით, 2023 წელი



2023 წელს საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 109.0 მილიარდი ლარი (2022 წელთან შედარებით 7.5 პროცენტით მეტი), ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა - 71.2 მილიარდი ლარი (2022 წელთან შედარებით 8.2 პროცენტით მეტი) შეადგინა.

2023 წელს ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 823.6 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 5.7 პროცენტით მეტია. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 43.4 პროცენტი ქალი იყო, ხოლო 56.6 პროცენტი - მამაკაცი.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა წლების მიხედვით



დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 40.4 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდიოდა, 19.8 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 39.8 პროცენტი - მცირე ბიზნესზე.

საანგარიშო პერიოდში, დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 771.5 ათასი კაცი შეადგინა (2022 წელთან შედარებით 6.2 პროცენტით მეტი), ხოლო საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე 17.2 მილიარდი ლარით განისაზღვრა (2022 წელთან შედარებით 20.7 პროცენტით მეტი).

2023 წელს, ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 1 827.3 ლარს გაუტოლდა (2022 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 221.4 ლარით), ხოლო მათ შორის ქალების ხელფასმა 1 445.3 ლარი შეადგინა (2022 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 181.3 ლარით). საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი კი შემდეგნაირია:

- მსხვილი ბიზნესი – 2 077.2 ლარი
- საშუალო ზომის ბიზნესი – 2 199.7 ლარი
- მცირე ბიზნესი – 1 306.5 ლარი.

2023 წელს ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი, 38.0 პროცენტი ვაჭრობის (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით) დარგზე მოდიოდა, მეორე ადგილზე იყო ხელოვნება, გართობა და დასვენება 31.4 პროცენტიანი წილით, შემდეგ კი - დამამუშავებელი მრეწველობა 7.8 პროცენტიანი წილით, მშენებლობა - 5.9 პროცენტიანი წილით, ტრანსპორტი და დასაწყობება - 4.6 პროცენტიანი წილით, ხოლო 12.3 პროცენტი დანარჩენ დარგებზე განაწილდა:

ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურა, 2023 წელი



2023 წელს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ და მეორე ადგილებს იკავებდა ვაჭრობა (19.7 პროცენტი) და დამამუშავებელი მრეწველობა (19.5 პროცენტი), შემდეგ მოდიოდა მშენებლობა (17.3 პროცენტი) და ტრანსპორტი და დასაწყობება (9.1 პროცენტი), ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში 34.4 პროცენტიანი წილი ეკავათ.

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების სტრუქტურა, 2023



2023 წელს დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით ბიზნეს სექტორში ლიდერობდნენ ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობისა და ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქმიანობების დარგები, შესაბამისად, 28.6, 11.7 და 9.6 პროცენტიანი წილებით. სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდოდა ტრანსპორტისა და დასაწყობების (8.4 პროცენტი), მშენებლობის (8.3 პროცენტი), აგრეთვე ინფორმაციისა და კომუნიკაციის (5.7 პროცენტი) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების (5.1 პროცენტი) დარგის საწარმოებზეც:

ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობის სტრუქტურა, 2023 წელი



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილება სქესისა და ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:



ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2023 წელს წინა წელთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით ბიზნეს სექტორის ბრუნვის მაჩვენებლების ცვლილება:

ბიზნეს სექტორის ბრუნვა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

ბრუნვა (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2022 წელი	2023 წელი	2023 წლის ზრდის ტემპი 2022 წელთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**181 764.6**	**204 647.5**	**112.6**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	915.5	969.0	105.8
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	1 411.7	1 318.9	93.4
დამამუშავებელი მრეწველობა	17 030.0	15 933.7	93.6
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	5 662.0	5 384.3	95.1
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	412.3	437.8	106.2
მშენებლობა	10 913.7	12 077.0	110.7
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	69 244.6	77 760.5	112.3
ტრანსპორტი და დასაწყობება	9 302.3	9 425.3	101.3
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	2 393.7	2 896.9	121.0
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	973.9	1 107.4	113.7
საკვებით და სასმელებით მომსახურება	1 419.8	1 789.5	126.0
ინფორმაცია და კომუნიკაცია	4 117.8	5 267.6	127.9
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	1 743.9	2 100.6	120.4
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	1 856.1	2 266.1	122.1
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	1 421.1	1 701.6	119.7
განათლება	620.8	767.6	123.6
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	1 589.2	1 716.2	108.0
ხელოვნება გართობა და დასვენება	52 904.1	64 350.1	121.6
სხვა სახის მომსახურება	225.7	274.1	121.5

01.10.2024

შემდეგი ცხრილი ასახავს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლების ცვლილებას 2023 წელს წინა წელთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2022 წელი	2023 წელი	2023 წლის ზრდის ტემპი 2022 წელთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**71 778.9**	**77 859.3**	**108.5**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	1 026.9	1 134.1	110.4
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	1 427.5	1 469.6	103.0
დამამუშავებელი მრეწველობა	15 954.1	15 214.0	95.4
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	2 983.5	2 875.6	96.4
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	497.6	559.4	112.4
მშენებლობა	11 891.9	13 499.7	113.5
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	13 765.5	15 309.9	111.2
ტრანსპორტი და დასაწყობება	6 852.9	7 090.7	103.5
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	2 414.9	2 929.1	121.3
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	995.1	1 135.9	114.1
საკვებით და სასმელებით მომსახურება	1 419.8	1 793.2	126.3
ინფორმაცია და კომუნიკაცია	4 107.1	5 215.7	127.0
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	1 720.2	2 071.0	120.4
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	1 712.6	2 115.0	123.5
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	1 016.2	1 228.2	120.9
განათლება	668.3	821.6	122.9
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	2 628.9	2 732.0	103.9
ხელოვნება გართობა და დასვენება	2 883.8	3 326.3	115.3
სხვა სახის მომსახურება	226.9	267.3	117.8

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების ცვლილება 2023 წელს წინა წელთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი) NACE REV. 2	2022 წელი	2023 წელი	2023 წლის ზრდის ტემპი 2022 წელთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**779 418**	**823 561**	**105.7**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	13 140	13 621	103.7
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	12 579	12 872	102.3
დამამუშავებელი მრეწველობა	94 888	96 123	101.3
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	15 175	16 550	109.1
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	14 721	15 464	105.0
მშენებლობა	65 489	68 195	104.1
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	222 427	235 834	106.0
ტრანსპორტი და დასაწყობება	66 554	69 352	104.2
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	37 336	41 748	111.8
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	15 043	17 340	115.3
საკვებით და სასმელებით მომსახურება	22 292	24 408	109.5
ინფორმაცია და კომუნიკაცია	39 008	47 228	121.1
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	19 563	20 764	106.1
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	26 024	27 573	106.0
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	22 493	23 151	102.9
განათლება	23 241	23 977	103.2
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	78 128	79 351	101.6
ხელოვნება გართობა და დასვენება	19 864	22 341	112.5
სხვა სახის მომსახურება	8 787	9 416	107.2

რეგიონების მიხედვით მთლიან ბრუნვაში 2023 წელს ლიდერობდა ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 78.9 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 5.4 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 4.2 პროცენტი
- იმერეთი – 3.4 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 2.1 პროცენტი.

რეგიონების მიხედვით პროდუქციის მთლიან გამოშვებაში ასევე ქ. თბილისი ლიდერობდა და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 64.8 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 8.5 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 6.9 პროცენტი
- იმერეთი – 5.7 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.6 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს რეგიონების (ქ. თბილისის გარდა) მიხედვით ბრუნვასა და პროდუქციის გამოშვებას (მლნ. ლარი):



დასაქმებულთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა 2023 წელს:

- ქ. თბილისი – 62.4 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 9.5 პროცენტი
- იმერეთი – 7.5 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 5.9 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.8 პროცენტი
- კახეთი – 3.0 პროცენტი
- შიდა ქართლი – 2.8 პროცენტი
- მცხეთა-მთიანეთი – 1.7 პროცენტი
- სამცხე-ჯავახეთი – 1.8 პროცენტი
- გურია – 1.2 პროცენტი
- რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი – 0.3

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს ცალკეულ რეგიონში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



შენიშვნები

1. სტატისტიკურმა გამოკვლევამ არ მოიცვა:

● საქმიანობის სექტორები K O T U

● 47.8 (საცალო ვაჭრობა ფარდულებში და ბაზრობებზე)

2. გამოკვლეული საწარმოები კლასიფიცირდებიან:

● ძირითადი საქმიანობის შესაბამისად

● ფაქტიური მისამართის შესაბამისად.

3. ადგილობრივი საქმიანობის სახის ერთეულის როგორც სტატისტიკური ერთეულის შემოღებამდე ქ. თბილისში ჩართულია რამოდენიმე მსხვილი საწარმო:

1. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“

2. შპს „საქართველოს ფოსტა“

3. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

4. სს „სილქნეტი“

5. სს „საქართველოს რკინიგზა“

6. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

7. სს „საქენერგორემონტი“

8. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და ა. შ.

რელიზში გამოყენებულია **ეკონომიკური საქმიანობის სახეების** შემდეგი **კლასიფიკაცია: ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია** (ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev.2) სექციების დასახელებები

A	„სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა“
B	„სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება“
C	„დამამუშავებელი მრეწველობა“
D	„ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება“
E	„წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები“
F	„მშენებლობა“
G	„საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი“
H	„ტრანსპორტი და დასაწყობება“
I	„განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები“
J	„ინფორმაცია და კომუნიკაცია“
K	„საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები“
L	„უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები“
M	„პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები“
N	„ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები“
O	„სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება“
P	„განათლება“
Q	„ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები“
R	„ხელოვნება გართობა და დასვენება“
S	„სხვა სახის მომსახურება“
T	„შინამეურნეობების როგორც დამქირავებლის საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის“
U	„ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები“

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: 2 36 72 10 (601) E-mail: dzhorzholiani@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020) E-mail: mkavelashvili@geostat.ge